თებერვალი 2023 - საინფორმაციო ბროშურა 1

Funded by the European Union

შემოგვიერთდით

READY4DISasters

ოფიციალური ვებ-საიტი
https://ready4disasters.gtu.edu.tr/

პროექტის შესახებ სიახლეების გასაცნობად გამოგვყევით ჩვენს გვერდზე.
https://www.facebook.com/groups/610573784408928

stoprak@gtu.edu.tr

რისგან შედგება პროექტი?

READY4DISasters პროექტის მიზანია მძლავრი საზოგადოებების განვითარება ხანძრის, წყალდიდობისა და მეწყერის რისკების წინააღმდეგ მზადყოფნისთვის მიზნით. ამ მიზნის მისაღწევად, პროექტი ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობას და მათი კომპეტენციის ამაღლებას კატასტორფების წინააღმდეგ მზადყოფნაში, რაც შესაძლებელია მოხალისეებისთვის ამ საკითხებთან დაკავშირებით სწავლებისა და ტრენინგების ახალი მეთოდებით ჩატარების გზით.

READY4DISasters პროექტი უზრუნველყოფს აუცილებელ ციფრულ ინსტრუმენტებს, მათ შორის ციფრულ თამაშებს, საგანმანათლებლო და სასწავლო მასალებს, რომელბიც მოხალისეებს დაეხმარებათ კატასტროფებისთვის მზადყოფნის ძირითადი უნარებისა და კომპეტენციების მიღება-განვითარებაში.
პროექტში შემუშავებული პროდუქტების საშუალებით მოხალისეებს შეეძლებათ მოემზადონ კატასტროფების მართვის ყველა ასპექტისათვის, დაწყებული შემცირებიდან მზადყოფნამდე, რეაგირებასა და აღდგენამდე.

პროექტის პარტნიორები

Gebze Technical University (GTU, გებზეს ტექნიკური უნივერსიტეტი დაარსდა 1992 წელს, როგორც გებზეს ტექნოლოგიების ინსტიტუტი, GYTE) სახელმწიფო უნივერსიტეტია, რომელიც მდებარეობს მარმარის რეგიონში, თურქეთი. მისი ძირითადი მიზანია დააკმაყოფილოს 3 ტექნოპარკის, 18 ორგანიზებული ინდუსტრიული ზონის (OIZ) და 35 R&D ობიექტების საჭიროებები, რათა ხელი შეუწყოს თანამედროვე კვლევისა და საზოგადოების საჭიროებებს.

Kocaeli Metropolitan Municipality ერთ-ერთია სტამბოლის მეტროპოლიტენთან ერთად, რომლის პროვინციული საზღვრები, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობის სფეროები 2004 წლის მეტროპოლიტენის მუნიციპალიტეტის კანონთან გათანაბრდა. მოიცავს 23 მთავარი დეპარტამენტს, რომლებიც მოიცავენ შემდეგ სფეროებს: ტრანსპორტი, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება, სამშენებლო სამუშაოები და კატასტროფების მართვა.

AFAD ის მიზანია I) დაადგინოს პროვინციის კატასტროფისა და საგანგებო სიტუაციების საფრთხეები და რისკები. ii) მოახდინოს კატასტორფისა და ფორსმაჟორული სიტუაციებისთვის მომზადება iii) კატასტროფისა და საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირება, რეაგირება და აღდგენა. iv) არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოხალისეების აკრედიტაცია და სერტიფიცირება.

LARES Italia სამოქალაქო დაცვის ექსპერტთა ეროვნული კავშირი, იტალიური ასოციაციაა სამოქალაქო დაცვის სფეროში, რომელიც დაარსდა 2006 წელს. LARES Italia-ს მთავარი მიზანია ევროპის მაშტაბით წარმოადგინოს და ჩართოს სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ექსპერტები და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები კატასტროფების მართვის საუნივერსიტეტო კურსებიში.

OIKOPOLIS არის ორგანიზაცია, რომელიც ფოკუსირებულია საზოგადოებაში გარემოსდაცვითი წიგნიერებისა და კულტურული კომპეტენციების ამაღებაზე მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო აქტივობების მეშვეობით.

TRAINING2000 არის ტრენინგ ორგანიზაცია ზრდასრულთა ტრენინგებისთვის. აღნიშნულ ორგანიზაციას აქვს გამოცდილება განათლებისა და ტრენინგების სხვადასხვა სექტორში (VET/ ზრდასრულთა განათლება / სასკოლო განათლება).

Digiway (საქართველო) არის ახლად დაარსებული არაკომერციული იურიდიული დაწესებულება, რომელსაც აქვს ციფრული ტრანსფორმაციის გამოცდილება სწავლებისა და ტრენინგის ნებისმიერ სფეროში, ICT გარემოს დიზაინში, მობილური თამაშების გამოყენებით კონკრეტული კომპეტენციების ამაღლების მეთოდებში.

READY4Disasters პატრონორების პირისპირ შეხვედრა საბრეძნეთში

პირველი შეხვედრა

შეხვედრის ორგანიზატორი იყო პროექტის პარტნიორი OIKO.POLI.S (საბერძნეთი). ორი დღის განმავლობაში მონაწილეებმა განიხილეს პროექტის მიზნები, კონკრეტული ამოცანები და ჩასატარებელი აქტივობები, მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები პროექტის განხორციელებისას ჩასატარებელ აქტივობებთან დაკავშირებით, განხილული იქნა ადმინისტრაციული საკითხები და პროექტის ცნობადობისა და შედეგების გავრცელების საკითხები.

შეხვედრის მთავარი მიზნები იყო:

- ✓ ერთმანეთის გაცნობა
- ✓ პროექტის მონაწილელბს შორის პარტნიორი ინსტიტუტების შესახებ ინფორმაციის გაზიარება
- ✓ მოტივაციისა და მოსალოდნელი შედეგების გაზიარება
- ✓ პროექტის მიზნების უკეთ გააზრება და განხილვა
- ✓ მართვის და ადმინისტრაციული წესები
- ✓ შემდგომი აქტივობების დაგეგმვის განხილვა
- ✓ პროექტის საქმიანობის ვადების დადგენა

შეხვედრის პირველი დღე გაცნობითი თამაშით დაიწყო. პარტნიორებმა ერთმანეთს გააცვნეს თავიანთი კომპეტენციები, რომელიც მოიცავდა მათი ინსტიტუტების ძლიერ მხარეებსა და პროექტში შეტანილი წვლილის შესახებ ინფრომციას.

მონაწილეები ეწვივნენ დიომიდეოს ბოტანიკურ ბაღს, სადაც გაეცვნენ „ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებებს ბოტანიკურ ბაღში“, მოისმინეს წყალდიდობისა და სამრეწველო კატასტროფების შესახებ ინფრომაცია და ნახეს ჩაიდარის მუნიციპალიტეტის სტიქიური უბედურების ბიზნეს გეგმას.

მეორე დღეს პროექტის ჯგუფი ეწვია ეროვნული კატასტროფების პირველ დეპარტამენტს, ელეფსინაში, სადაც მოისმინეს სამოქალაქო დაცვის გეგმის, განვლილი კატასტროფებისა და სამომავლო დაგეგმვის შესახებ ინფორმაცია და გაეცვნენ სამაშველო ტექნიკებს.

შეხვედრის ფოტო მასალა შეგიძლიათ ნახოთ აქ: https://www.oiko-polis.com/ready4disasters/

შემდეგში რა იქნება?

მოხალისეებისთვის კონპეტენციის რუკის დაგეგმვის ინსტრუმენტი:

შემუშავებული იქნება სასწავლო მასალის ჩარჩო და სასწავლო მოდულები.

პარტნიორები შეაფასებენ მოხალისეების ცნობიერების ამაღლების მეთოდებს, რომელიც ფოკუსირებული იქნება წყალდიდობების, მეწყერებისა და ხანძრების სფეროზე ზრდასრულთა ცნობიერების ამაღლების, სწავლებისა და ტრენინგში საუკეთესო პრაქტიკის შესაქმნელად.

ყველა პარტნიორი ჩაატარებს გამოკითხვას, რომელიც შეისწავლის მოხალისეების ცოდნას კონკრეტული კატასტროფების და რეაგირების შესახებ, რათა მიზნობრივად მოხდეს მოხალისეთა ცონბიერების ამაღლება.